



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 27

„18“ აგვისტო 2014 წ.

ქ. თელავი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში
(სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების
აღიარებაზე უფლებამოსილი კომისიის შექმნისა და კომისიის
შემადგენლობის დამტკიცების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 28-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 11 დეკემბრის №525 ბრძანებულების საფუძველზე,

1. შეიქმნას თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისია და კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ზაზაშვილი ზაზა - თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი - **კომისიის თავმჯდომარე;**

გალახვარიძე ვანო - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
- **კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;**

- არაბული ვასილი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
- კომისიის წევრი ;
- მინდიაშვილი შალვა - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის
მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი
- კომისიის წევრი ;
- ბიწკინაშვილი ამირი - თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული
სამსახურის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის
შემსრულებელი - კომისიის წევრი;

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე ;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში
(ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი